ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3013759

ნომერი: AR1465332

თარიღი : 20.12.2016

გაცემის თარიღი : 22.12.2016

გაცნობის თარიღი : 26.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლების III ქუჩა N17ა.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კირვალიძე პ/ნ 01009009055
- ჩხიკვაძის ქ.3

ორგანიზაცია:

- შპს მეტრო ჰოლდინგი კოდი: 404512933

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურთებისა და ასევე საკადასტრო გეგმების მიხედვით სავარაუდოა, რომ N5/1 შენობა-ნაგებობა უნებართვოდ არის აშენებული, საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული შენობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუემტნი, წინაარმდეგ შემთხვევაში, უნებართვო შენობის დემონტაჟზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს და აღნიშნული ამოღებულ უნდა იქნას მოთხოვნიდან.
ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შეზღუდვა "მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს მეტროს ინფრასტრუქტურის დაზიანება. აქრდან გამომდინარე, გთხოვთ, ყველა პროექტი, რომელიც იქნება დაპროექტებული მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე განხილულ და შეთანხმებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან". შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობა არსებული შენობების დემონტაჟთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge